



COMMISSIONER FOR HUMAN RIGHTS
COMMISSAIRE AUX DROITS DE L'HOMME



სტრასბურგი, 2010 წლის 7 ოქტომბერი

CommDH(2010)40
ორიგინალი ინგლისურ ენაზე

მოხსენება
ადამიანის უფლებათა საკითხებზე 2008 წლის აგვისტოს
კონფლიქტის შემდგომ პერიოდში

თომას ჰამარბერგი
ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი

ძირითადი დებულებები

კომისარი ეწვია საქართველოს 2009 წლის ნოემბერ-დეკემბერში, 2009 წლის დეკემბერში, 2010 წლის ოქტემბერში და 2010 წლის მაისში, და მას შემდეგ აკვირდებოდა მოვლენების განვითარებას. მან შეფასება მისცა 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შემდეგ მის მიერ ჩამოყალიბებული, ადამიანის უფლებებისა და პუმანიტარული უსაფრთხოების დაცვისათვის აუცილებელი ექვსი პრინციპის განხორციელების მსვლელობას; მან ასევე გააგრძელა ძალისხმევა დაკავებული და მხარეების მიერ ჯერ კიდევ დაპატიმრებული პირების გასანთავისუფლებლად და დაკარგულების ბედის გასარკვევად.

დაბრუნების უფლება: თითქმის ყველა, ვინც კონფლიქტის გამო დროებით დატოვა შიდა ქართლის რეგიონი და, მათ შორის, სამხრეთ ოსეთის მიმდებარე ტერიტორია (100 000-ზე მეტი ადამიანი), 2008 წლის ბოლოსთვის დაუბრუნდა საქუთარ სახლებს. მაგრამ ეთნიკური ქართველების აბსოლუტურ უმრავლესობას, ვინც სამხრეთ ოსეთიდან გამოქვევით უშველა თავს, დაბრუნების საშუალება არა აქვს. პრაქტიკულად, მიუხედავად უნივერს მოლაპარაკებების ფარგლებში მომქმედი სამუშაო ჯგუფების თანათავმჯდომარეების მცდელობისა, ადგილნაცვალ პირთა დაბრუნების საქმეში თითქმის წინსვლა არ შეიმჩნევა. კომისარი კვლავაც ამახვილებს ყურადღებას უსაფრთხო, ნებაყოფლობითი და ლირსეული დაბრუნების მნიშვნელობაზე და დაუინებით მოითხოვს, რომ ყველა შესაბამისმა სუბიექტმა უზრუნველყოფს შეუფერხებელი გადაადგილების თავისუფლება კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონში.

ადგილნაცვალი პირების უფლება მზრუნველობასა და მხარდაჭერაზე: კონფლიქტის გამო გადაადგილებულ თითქმის ყველა ადამიანს მიენიჭა იძულებით გადაადგილებული პირის (დევნილის) სტატუსი. კომისარი მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე მისცენ იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსი ყველას, ვისაც არა აქვს თავის საცხოვრებელში დაბრუნების საშუალება. გარდა ამისა, შესაბამისმა სახელისუფლო ძალებმა და საერთაშორისო საზოგადოებრიობამ უნდა გააგრძელოს ძალისხმევა იმ ადამიანების დუხშირი მდგომარეობის შესამსუბუქებლად, ვინც 2008 წლის კონფლიქტის, და ასევე წინა კონფლიქტების შედეგად პვლავ დევნილობაში იმყოფება. მათთვის გარანტირებული უნდა იყოს საკვების, წყლის, ჰიგიენის საშუალებების ხელმისაწვდომობა და მომსახურების ძირითადი სახეები. მიუხედავად იმისა, რომ კომისარი მაღალ შეფასებას აძლევს საქართველოს ხელისუფლების მიერ ადგილნაცვალი პირებისათვის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველსაყოფად გადადგმულ ნაბიჯებს, ათი ათასობით ადამიანისათვის ეს საკითხი კვლავაც პრობლემატურად რჩება. 2010 წლის ზაფხულში 5000-ზე მეტი ადამიანის გამოსახლებამ ფართო საზოგადოების შეშფოთება გამოიწვია და აგვისტოში იგი შეჩერებული იქნა. კომისარი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ ადგილნაცვალ და დაბრუნებულ პირებთან მიმართებაში მისადები ნებისმიერი გადაწყვეტილების შესახებ მათ სათანადო ეცნობოთ და მათთან იყოს შეთანხმებული.

ასაფეთქებლებისა და ომის სხვა ნარჩენების საფრთხისგან დაცულობის უფლება: კომისარი მიესალმება იმ ფაქტს, რომ ომის თითქმის მოედი ნარჩენები გატანილია კონფლიქტით დაზარალებული ტერიტორიებიდან და მიღებულია ზომები ომის ნარჩენებისგან მოდინარე საფრთხის შესახებ ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებისათვის. ყველა მხარემ უნდა განაგრძოს ძალისხმევა

ამ მიმართულებით, რადგან ასაფეთქებლებისა და ომის სხვა ნარჩენებისაგან ტერიტორიების გაწმენდა, გარდა იმისა, რომ სასიცოცხლო მნიშვნელობისაა კონფლიქტით დაზარალებულ ტერიტორიაზე დარჩენილი მოსახლეობისათვის, დაბრუნების უფლების უფლებური განხორციელების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაცაა. აქვე, კომისარი კიდევ ერთხელ მოუწოდებს ქართულ და რუსულ მხარეებს ხელი მოაწერონ კონვენციას კასეტური იარაღის შესახებ და მოახდინონ მისი რატიფიკაცია.

უკანონობისაგან დაცვის უფლება: მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტით დაზარალებულ ტერიტორიაზე სიტუაცია უსაფრთხოების თვალსაზრისით მთლიანად უფრო სტაბილურია, ინციდენტები აღმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის გაყოლებით ზოგან მაინც ხდება. აუცილებელია უსაფრთხოების ქმედითი ზომების მიღება, რაც ასევე გულისხმობს ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების (IPRM) პატიოსან ამოქმედებას, და ყველა მხარეს მოსახლეობაში ხდობის აღდგენის ზომების მიღებას. კომისარი ასევე ამახვილებს ყურადღებას ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, და კონკრეტულად, კონფლიქტოან დაკავშირებულ საკითხებში სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა მოღვაწეობის მნიშვნელობაზე. იგი მოუწოდებს ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს, მისცენ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს, მათ შორის, აქტივისტებსა და იურისტებს, დაუბრკოლებელი მუშაობის საშუალება გაუმართლებელი ზეწოლის გარეშე.

პატიმრების დაცვა და განთავისუფლება, მძღვლების აყვანის პრევენცია: კომისარი მიესალმება ორივე მხარეს პატიმრების დღემდე მომხდარ განთავისუფლებას და მოუწოდებს მხარეებს, თავი შეიკავონ აღმინისტრაციული საზღვრის ზოლის გადამკვეთი ადამიანების დაჭერისა და დაპატიმრებისაგან. საქიროა გაგრძელდეს ზომების მიღება დაპირისპირებული მხარეების მიერ კონფლიქტის შემდეგ დაპატიმრებული ყველა პიროვნების გასანთავისუფლებად, ასევე უნდა გაგრძელდეს დაკარგულთა ბედის გარკვევისა და გვამების ნაოესავებისათვის დაბრუნების პროცესი.

საერთაშორისო დახმარება და ადგილზე ყოვნა: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სადამკვირვებლო მისიის (UNOMIG) და უვროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE) მიერ საქართველოს დატოვებამ გარკვეული ნაპრალი წარმოშვა ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მონიტორინგის თვალსაზრისით. კერძოდ, ეს ეხება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს. სამწუხაროდ მცირეა წინსვლა საერთაშორისო პუმანიტარული ორგანიზაციებისათვის კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში შესვლის უფლების მოპოვების თვალსაზრისით, რაც ძალიან ვნებს გაჭირვებაში მყოფი ადამიანების ინტერესებს.

I. შესავალი

1. 2009 წლის ბოლოს ადამიანის უფლებათა კომისარი ორჯერ ეწვია საქართველოს 2008 წლის კონფლიქტის შემდეგ ადამიანის უფლებათა და პუმანიტარულ სფეროში მის მიერ ჩამოყალიბებული ექვსი პრინციპის განხორციელების მსვლელობის გასაცნობად. ეს პრინციპებია: დაბრუნების უფლება; აღგილნაცვალი პირების უფლება მზრუნველობასა და მხარდაჭერაზე; ომის ნარჩენებისაგან მომდინარე საფრთხისგან დაცვის უფლება; უკანონობისაგან დაცვის უფლება; დაკავებულების დაცვა და განთავისუფლება და მძღვლად აყვანის

პრევენცია; საერთაშორისო დამკვირვებელთა დაშვება და ადგილზე ყოფნა. მას შემდეგ კომისარი კიდევ ორჯერ ეწვია საქართველოს, 2010 წლის თებერვალსა და მაისში, რომლებიც ძირითადად გამოიყენა ორივე მხარეს პატიმრების განთავისუფლებისა და 2008 წლის კონფლიქტის დროსა და მის შემდეგ გაუჩინარებული რამდენიმე ადამიანის ბედის გარკვევისათვის¹

2. თბილისში კომისარს შეხვედრები პქონდა სახელმწიფო მინისტრთან რეინტეგრაციის საკითხებში - ბ-ნ თემურ იაკობაშვილთან, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრთან² - ბ-ნ კობა სუბელიანთან, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილესთან - ბ-ნ გიორგი ბოგერიასთან, შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსთან - ბ-ნ შოთა უტიაშვილთან და ომბუდსმენთან - ბ-ნ გიორგი ტუდუშთან. კომისარი ასევე შეხვდა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციისა და დიპლომატიური კორპუსის, ასევე საერთაშორისო და აღილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების (NGO) წარმომადგენლებს. თბილისში ის აგრეთვე შეხვდა ცხინვალში პატიმრობაში მყოფთა ოჯახის წევრებს.
3. კომისარი ასევე იმყოფებოდა გორში, სადაც ის შეხვდა შიდა ქართლის გუბერნატორს ვლადიმერ ვარძელაშვილს³. იგი ესტუმრა გორის კოლექტიურ ცენტრს, ასევე კარალეთის ახალ ჩასახლებას და გაესაუბრა იქაურ მაცხოვრებლებს.
4. კომისარი რამდენჯერმე იყო ცხინვალში, სადაც შეხვდა დე ფაქტო პრეზიდენტს - ბ-ნ ედუარდ კოკიოთის, დე ფაქტო სპეციალურ წარმომადგენერალს პოსტ-კონფლიქტური სიტუაციის მოგვარების საკითხებში - ბ-ნ ბორის ჩოჩიევს, დე ფაქტო ომბუდსმენს - ბ-ნ დავით სახაკოვეს, ალანის ეპარქიის ეპისკოპოს გიორგის და დაკარგულთა და საქართველოს ხელისუფლების მიერ დაპატიმრებულთა ოჯახის წევრებსა და ნათესავებს. იგი შეხვდა ქართველ პატიმართა უმეტესობას, რომლებიც ცხინვალში იმყოფებოდნენ. ზოგიერთი მათგანი ამასობაში გაანთავისუფლეს.
5. დაპატიმრებულთა განთავისუფლებისა და დაკარგულების ბედის გარკვევისაპერ მიმართული საკუთარი ძალისხმევის ფარგლებში, კომისარმა 2010 წლის მარტის ბოლო რიცხვებში მხარეებს წარუდგინა მემორანდუმი. გარდა ამისა, 2010 წლის თებერვალ-ივნისში გამოგზავნა 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის დროსა და მის შემდეგ დაკარგულების ზოგიერთი საქმის გამოძიების მსვლელობის

¹2009 წლის 27 ნოემბრიდან 4 დეკემბრამდე ვიზიტის დროს კომისარს ახლდნენ ქ-ნი ბოიანა ურუმიცა (კომისრის ოფისის დირექტორის მოადგილე) და ქ-ნი საბრინა ბიუბლერი (მრჩეველი). 2009 წლის 16-19 დეკემბრის ვიზიტის დროს – ქ-ნი ბიუბლერი. 2010 წლის 26-28 თებერვლისა და 1-3 მაისის ვიზიტების დროს მას ახლდნენ ქ-ნი ბიუბლერი და ბ-ნი მარსელ ჩაპი (მრჩეველი).

სულ, 2008 წლის კონფლიქტის შემდეგ კომისარი რვაჯერ ეწვია საქართველოს.

² ლტოლვილთა და განსახლების სამნისტროს სახელი შეეცვალა საქართველოში კომისრის ბოლო ვიზიტის შემდეგ. 2010 წლის ივნისიდან მას ეწოდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო.

³ ბატონი ვარძელაშვილის სპროტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრად დანიშვნის შემდეგ, 2010 წლის ივლისში შიდა ქართლის გუბერნატორად დაინიშნა ბ-ნი ზურაბ არსოშვილი.

მონიტორინგის მანდატით აღჭურვილი ორი საერთაშორისო ექსპერტი.
(მათი ანგარიში ცალკეა გამოქვეყნებული).

6. კომისარი მადლობას უხდის ყველა თანამოსაუბრეს, რომელთა შორის 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ბევრი ჩვეულებრივი ადამიანი იყო, მისოვის მიწოდებული ფასეული ინფორმაციისათვის.

II. კომისრის მიერ ჩამოყალიბებული ადამიანის უფლებათა და პუმანიტარული დაცვის გადაუდებელი ექვსი პრინციპის განხორციელება

2.1. დაბრუნების უფლება

7. 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შედეგად დაზარალებული რაიონების მონაცელების პირველივე დღიდან კომისარი მიუთითებდა იმ უამრავი ადამიანის შემაშფოთებელ მდგომარეობაზე, ვინც იძულებული იყო სახლ-კარი მიეტოვებინა. დღისათვის ადგილნაცვალი პირების დაბრუნება კვლავ გადაუწყვებელ საკითხად რჩება. დაახლოებით 22000 ადამიანს, ვინც იძულებული იყო საომარი მოქმედებების დროს მიეტოვებინა სახლ-კარი სამხრეთ ოსეთსა და ზემო კოდორის ხეობაში, კვლავაც არა აქვს დაბრუნების საშუალება. ახალგორში სიტუაცია კვლავ არასტაბილურია, და მიუხედავად იმისა, რომ იქ მაცხოვრებლებს შედარებით თავისუფალი გადაადგილების საშუალება აქვთ, პირობები მაინც არ არის ხელშემწყობი იმ რაიონიდან იძულებით გადაადგილებული თითქმის 5200 ადამიანის დაბრუნებისათვის. თითქმის ყველა, ვინც კონფლიქტის დროს იძულებული იყო დროებით მიეტოვებინა საცხოვრებელი ადგილი შიდა ქართლის რეგიონში, სამხრეთ ოსეთის მიმდებარე ტერიტორიის ჩათვლით (100 000-ზე მეტი ადამიანი), დაუბრუნდა საგუთარ სახლ-კარს, მაგრამ ადმინისტრაციული საზღვარი (სამხრეთ ოსეთის) კვლავ ჩაკეტილია. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ახალგორის რაიონი (იხ. ამავე დროს ქვემოთ პუნქტები 10 და 12)
8. თავიდან ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლები ირწმუნებოდნენ, რომ აღიარებდნენ და ეთანხმებოდნენ დაბრუნების უფლებას, მაგრამ გარკვეული პირობებით⁴, რაც შეშფოთების საბაბს იძლევა. დე ფაქტო ლიდერებმა ასევე აღნიშნეს, რომ დაბრუნება მოხდებოდა საერთაშორისო პრინციპების მიხედვით.⁵ კომისარი ღრმა მწერებას გამოსთვამს იმის გამო, რომ დე ფაქტო ხელისუფლების შემდგომი განცხადებები ამხელენ ისეთ პოლიტიკას, რომელიც არ უწოდს ხელს დაბრუნებას,⁶ და რომ ეთნიკური ქართველების დიდი

⁴ კომისრის წინა ვიზიტების დროს და საჯარო გამოსვლებშიც დე ფაქტო ხელისუფლება აცხადებდა, რომ დაბრუნების უფლების გამოყენება არ მოხდებოდა აგტომატურად, არამედ ყველა ცალკეული შემთხვევა განიხილებოდა ინდივიდუალურად იმის დასადგენად, მონაწილეობდა ოუ არა ესა ოუ ის პიროვნება საომარ მოქმედებებში. უფრო მეტიც, დაბრუნების ულები ვალდებული იქნებოდნენ მიეღოთ სამხრეთ ოსეთის მოქალაქეობის დამადასტურებელი საბუთები.

⁵ დე ფაქტო პრეზიდენტმა კოკოითიმ აღნიშნა, რომ დაბრუნება მოხდებოდა საერთაშორისო პრინციპების მიხედვით და შემდეგი ფაქტორებით იქნებოდა განპირობებული: უსაფრთხოება, ნებაყოფლობითობა და აღექვატური საცხოვრებელი პირობების გარანტია.

⁶ ადგილნაცვალი პირების უფლებათა საკითხებზე გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ვალტერ კოლინის მოხსენებაში ნათქვამია, რომ სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო

უმრავლესობა, რომლებიც იძულებით გამოყარეს საკუთარი სახლებიდან სამხრეთ თხეთში⁷, ვერ ბრუნდება უკან. ფაქტიურად, წინსვლა დაბრუნების თვალსაზრისით თითქმის არ შეიმჩნევა უნევის მოლაპარაკების ფარგლებში პუმანიტარულ საკითხებზე მომუშავე ჯგუფის თანათავმჯდომარეების ძალისხმევის მიუხედავად.

9. კომისარი იძულებულია კიდევ ერთხელ გაიმეოროს ის ფუნდამენტური პრინციპი, რომ ადგილნაცვალ პირებს უფლება აქვთ დაბრუნდნენ საკუთარ სახლებში მათი უთნიკური წარმომავლობისა და ეროვნების მიუხედავად. ყველა შესაბამის სუბიექტს ევალება უზრუნველყოს, რომ იმ ადგილნაცვალ ადამიანებს, რომელთაც სურთ სახლებში დაბრუნება, უფლება პქონდეთ დაბრუნდნენ უსაფრთხოდ და ღირსეულად.
10. ამჟამად გრძელდება ახალგორში მიმოსვლა ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთით. ამის საშუალება ეძლევათ მხოლოდ მათ – ადგილნაცვალი პირების ჩათვლით – ვისაც შეზღუდული რაოდენობის ნივთები გადააქვთ და ვისთვისაც ახალგორი მუდმივი საცხოვრებელი ადგილია. დაახლოებით 5200 ადამიანიდან, ვინც იძულებით მიატოვა ეს რაიონი 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების დროს და მის შემდეგ, ბევრმა 2009 და 2010 წლების ზაფხულის ნაწილი ახალგორში, საკუთარ სახლში გაატარა ბადებსა და მინდვრებში მუშაობაში. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დასრულების შემდეგ ბევრი დაუბრუნდა თავის კოტეჯს ქრთული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ახალ დასახლებაში. საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებით, ახალგორში ყოველდღიურად დაახლოებით 300-350 ადამიანი შედის და გამოდის წელიწადის დროის, კვირის დღეების და რელიგიური/სასკოლო არდადებების მიხედვით.
11. ამასთანავე, არსებობს ცნობები იმის შესახებ, რომ მათ, ვისაც ახალგორის მიმდებარე ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთა სურდა, უყენებდნენ გარკვეულ პირობებს, როგორიცაა პირადობის მოწმობის ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის აუცილებელი

ხელისუფლების წარმომადგენლებმა მას უთხრეს, რომ დაბრუნების უფლებები არ გაიცემოდა მანამ, სანამ საქართველოს მთავრობა არ დასთანხმდებოდა კონფლიქტის მხარეებს შორის ძალის არ გამოყენების ხელშეკრულების დადებას. უფრო მეტიც, სამხრეთ თხეთის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს, რომ დაბრუნებას ადგილი ექნებოდა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც უთნიკურ თხებს შექმნებოდათ საქართველოს მიერ კონტროლირებად რაიონებში დაბრუნება. იხ. ადგილნაცვალი პირების უფლებათა საკითხებზე გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის მოხსენება, ვალტერ კიოლინი, დანართი, საქართველოში მისის ანგარიშის შემდგომი ზომები (A/HRC/10/13/Add.2), პუნქტები 27 და 28.

⁷ საქართველოში კონფლიქტთან დაგამირებული ფაქტების დამდგენერალი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიამ (IIFMCG) დაასკრინა, რომ ადგილი პქონდა “საცხოვრებელი სახლებისა და საჯარო შენობებისთვის ცეცხლის წარმომადგენლის მოხსენება”, ვალტერ კიოლინი, დანართი, საქართველოში მისის ანგარიშის შემდგომი ზომები (A/HRC/10/13/Add.2), პუნქტები 27 და 380 და 394

მოთხოვნა.⁸ უფრო მეტიც, იტყობინებიან, რომ რამდენჯერმე ადგილი ჰქონდა “საზღვრის გადაკვეთის გასამრჯელოს”⁹ მოთხოვნას. ამასთანავე, ქართველი სამართალდამცავები იკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე, ზღუდავენ მოძრაობის თავისუფლებას ახალგორის მიმართულებით როგორც ადამიანებისათვის, ასევე ტკირთისთვის.¹⁰

12. კომისარი ხაზს უსვამს ადგილობრივი მოსახლეობის ახალგორში თავისუფალი მომოსვლის (ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის გადაკვეთით) კანონიერი ინტერესების დაცვის აუცილებლობას და მოუწოდებს ყველა მხარეს, თავი შეიკავონ ისეთი ზომების მიღებისაგან, რომლებიც აყოვნებენ ადამიანების მოძრაობას და დაბრუნებას – სამუდამო ან დროებით - მუდმივ საცოხვრებელ ადგილას ახალგორში.
13. კომისარი ეწვია გორის №1 საბაშვო ბაღს, სადაც ესაუბრა სოფლებიდან ზარდიანთკარი და ზემო ნიქოზი დევნილი ოჯახების წარმომადგენლებს. მათი სახლები ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის უშუალო სიახლოვეს მდებარეობს, ქართული პოლიციის საკონტროლო-გამშვები პუნქტების სიახლოვეს. დაბრუნებას ისინი ვერ ბედავენ, რადგან ეშინიათ, რომ არ იქნებიან სათანადოდ დაცულნი, ხოლო საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები იზიარებენ ამ პოზიციას. საქართველოს ლტოლვლობა და განსახლების მინისტრმა პირობა მისცა კომისარს, რომ ამ ადამიანების მიმართ იგივე ნორმები იქნებოდა გამოყენებული, რაც იმულებით გადაადგილებული პირების (დექნილების) მიმართ. შამწუხაროდ, 2010 წლის სექტემბრისთვის ამ ოჯახების სპეციფიკური მდგომარეობა არ გამხდარა არც სახელმწიფო და არც რეგიონალური (შიდა ქართლის) სახელისუფლებო ორგანიზაციის განხილვის საგანი.
14. 2009 წლის ნოემბრის ვიზიტის დროს, გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა დევნილთა უფლებების საკითხებში ვალტერ კიოლინმა აღნიშნა, რომ “სამხრეთ თხეთის შიგნით თავშესაფრის უქონლობა არის დევნილი პირების ძირითადი პრობლემა.

⁸ არსებული ცნობების თანახმად, 2010 წლის იანვრიდან ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ განლაგებული რუსი ოფიცირები ადგილობრივ მოსახლეობას სოხოვენ ნოტარიულად დამტკიცებულ რუსულად ნათარგმნ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტების.

დამკავირვებლების აზრით, ეს არ ხებითად არ ზღუდავს გადაადგილების თავისუფლებას.

⁹ იხ. დევნილთა უფლებების საკითხებში გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ვალტერ კიოლინის მოხსენება, დანართი, საქართველოში მისიის ანგარიშის მომზადების შემდგომი მოვლენები (A/HRC/10/13/Add.2), პუნქტი 19: “წარმომადგენელი შეშვრულებულია ცნობებით საკონტროლო-გამშვები პუნქტების გადაკვეთისას სამოქალაქო პირთა მიმართ მეძიებლობისა და გამოძალვის ფაქტების შესახებ, რასაც, გადმოცემით, ადგილი აქვს ზოგიერთი სამხედროს მხრიდან ორივე მხარეს.” იმავე ანგარიშში არის მონაკვეთი, სადაც ნათქვამია, რომ საქართველოს მთავრობის განცხადებით, ქართულ მხარეს განლაგებული სამხედროები არ ყოფილან გარეულნი ამგვარ ქმედებებში.

¹⁰ სხვადასხვა თანამოსაუბრებებმა, მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციების

წარმომადგენლებმა და ადგილნაცვალმა პირებმა, ცნობებს კომისარს, რომ მათ, ვინც არ არის ახალგორის მუდმივი მაცხოვრებელი, ახალგორში შესასვლელად ქრთული მხარე სოხოვეს სპეციალურ ნებართვას და რომ ამ ნებართვის მოპოვება რამდენადმე გაძნელებული შეიძლება იყოს.

რეკონსტრუქცია ძალიან ნელი ტემპებით მიმდინარეობს”.¹¹ კომისარი იმდეს გამოსთვამს, რომ ბატონი კიოლინის რეკომენდაციების შესაბამისად, დაზარალებული მოსახლეობისათვის მოხერხდება პრობლემის გრძელვადიანი მოგვარება.

15. სხვადასხვა სუბიექტის არა ერთი ძალისხმევის შიუხედავად, ადმინისტრაციული სასახლევრო ზოლის მიმდებარე ტერიტორიების წყლითა და ელექტროენერგიით მომარაგების საკითხი აქტიური საომარი მოქმედების შეტყვეტიდან ორი წლის შემდეგაც გადაუჭრელი რჩება, რაც ხელს უშლის სასოფლო სამეურნეო და სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის სამუშაოების ჩატარებას. როდესაც, 2009 წლის ნოემბერში საქართველოს ეწვია გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი დევნილთა უფლებების საკითხებში, ახალგორში მას უთხრეს, რომ გაზის, და ხშირად ელექტროენერგიის მიწოდებაც წყდებოდა ხოლმე სამხრეთიდან.¹² უფრო მოგვიანებით ახალგორიდან დევნილებმა განაცხადეს, რომ ელექტროენერგია შეუფერხებლად მიეწოდებოდათ ჩრდილოეთიდან, ხოლო გაზი 2009/2010 წლების ზამთრის პერიოდიდან მოყოლებული დღემდე საერთოდ არ მიეწოდებოდათ. რაც შეეხება წყლის მიწოდებას, ადმინისტრაციული სასახლევრო ზოლის მიმდებარე, ქართული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე არსებული სარწყავი სისტემები სამხრეთ ოსეთში იდებენ სათავეს და ხშირ შემთხვევაში განგებ იკეტება დე ფაქტო ადმინისტრაციის მიერ. ეს ინფორმაცია მომდინარეობს საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან.
16. წყლითა და ენერგიით მომარაგების საკითხში დაინტერესებული მხარეების მიერ დაპავებული პოზიცია ძალზედ მავნე ზემოქმედებას ახდენს ადმინისტრაციული სასახლევრო ზოლის ორივე მხარეს მცხოვრები ჩვეულებრივი მოსახლეობის და, მათ შორის, დაბრუნებულების ყოველდღიურ ცხოვრებაზე.
- 2.2 ადგილნაცვალი პირების უფლება მხრუცველობასა და მხარდაჭერაზე
17. 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის გამო ადგილნაცვალი მოსახლეობისათვის იძულებით გადაადგილებული პირის (დეპილის) სტატუსის მინიჭების საკითხი კვლავაც მთავარ პრობლემად რჩება, რადგანაც ამ სტატუსის მატარებელი სარგებლობს გარკვეული უფლებებით, მათ შორის, სოციალური და ჯანდაცვის შედაგათებით. კომისარი მიესალმება იმ ფაქტს, რომ საქართველოს მთავრობამ მიანიჭა დევნილის სტატუსი ახალ კოტეჯებში და გარემონტებულ ბინებში შესახლებული ადგილნაცვალი მოსახლეობის უმეტესობას¹³. დანარჩენი ადგილნაცვალი პირების ნახევარი რეგისტრირებულია როგორც დევნილის სტატუსის მაძიებელი, ხოლო მეორე ნახევარი არ ხვდება

¹¹ პრეს-რელიზი: ოსეთის კონფლიქტის შედეგად დევნილებს ესაჭიროებათ მეტი პრაგმატიზმი, ნაკლები პოლიტიკა, ამბობს გაეროს წარმომადგენელი, 2009 წლის 10 ნოემბერი.

<http://www.ohchr.org/en/NewsEvents/Pages/DisplayNews.aspx?NewsID=9607&LangID=E>

¹² პრეს-რელიზი: ოსეთის კონფლიქტის შედეგად დევნილებს ესაჭიროებათ მეტი პრაგმატიზმი, ნაკლები პოლიტიკა, ამბობს გაეროს წარმომადგენელი, 2009 წლის 10 ნოემბერი.

<http://www.ohchr.org/en/NewsEvents/Pages/DisplayNews.aspx?NewsID=9607&LangID=E>

¹³ ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო, ახალ დასახლებებში იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის ოფიციალური მინიჭების შემდგომი მონიტორინგის შედეგები, 11.05.09-29.06.09 პერიოდის კრებითი ანგარიში, 2009 წლის 15 ივნისი.

დევნილის კატეგორიაში, ძირითადად იმ მიზეზის გამო, რომ მათ არ გააჩნიათ სათანადო დოკუმენტები. გარდა ამისა, დაახლოებით 2000 ადგილნაცვალ პირს, ვინც კერძო სექტორში დაიდო ბინა, დღისათვის მინიჭებული აქვს დევნილის სტატუსი. ეს უკანასკნელი ძირითადად ის ადამიანები არიან, ვინც დაბინავების სანაცვლოდ ფულადი კომპენსაცია მოითხოვა. თუმცა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დღემდე არ მიუწიჭებია დევნილის სტატუსი კოლექტიურ ცენტრებში დარჩენილი ადგილნაცვალი პირებისთვის. ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის უშუალო სიახლოეს მდებარე სოფლებიდან¹⁴ და ახალგორიდან გამოსულ ადამიანებს ასევე არა აქვთ მინიჭებული დევნილის სტატუსი.

18. კომისარი მოუწოდებს კომპეტენტურ ორგანოებს, სწრაფად და დისკრიმინაციის გარეშე მიანიჭონ დევნილის სტატუსი იმ ადამიანებს, რომლებსაც არ შეუძლიათ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნება და ამდენად, ფაქტიურად ადგილნაცვალი არიან. ამასთან, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ განსაკუთრებით დაუცველნი არიან ისინი, ვისთვისაც განსახლების პრობლემა ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია.
19. კომისარმა ასევე არაერთხელ გაამხვილა ყურადღება იმ დაახლოებით 230 000 ადამიანის მდგომარეობაზე, რომლებიც ადგილნაცვალი არიან 90-იანი წლების დასაწყისში მომხდარი კონლიქტების შედეგად. მათგან დაახლოებით 100 000 კოლექტიურ ცენტრებში ცხოვრობს.
20. კოლექტიურ ცენტრებსა და კერძო სექტორში განსახლებული რამდენიმე ათასი იძულებით გადაადგილებული პირის (როგორც ადრე 90-იანი წლების ასევე 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შედეგად) საბინაო პრობლემები კვლავაც მოსაგვარებელია. ბევრმა ადამიანმა, ვინც ფინანსური კომპენსაცია აირჩია, აღნიშნა, რომ ჯერაც არ მიუღია ის.
21. ადამიანებმა, რომელთაც კომისარი შეხვდა, აღნიშნეს, რომ ზოგიერთ კოლექტიურ ცენტრში, რომლის მაცხოვრებლებიც დიდად არიან დამოკიდებული ჰუმანიტარულ დახმარებაზე, საკვების დეფიციტი კვლავაც შეინიშნება. ასევე ითქვა, რომ ზოგიერთი ახალი დასახლების მაცხოვრებლებს ნაკლებად მიუწვდებათ ხელი საკვებზე, ძირითადად ნაღდი ფულის უქონლობის გამო (ეს, აგრეთვე უკავშირდება ძალიან შეზღუდულ საარსებო შესაძლებლობებს), ასევე უახლოესი ბაზრის სიშორის, სახნავი მიწების ხელმიუწვდომლობისა და/ან სარწყავი წყლის ნაკლებობის გამო. ამის საპირისპიროდ, ზოგიერთ ახალ დასახლებაში, მაგალითად წეროვანში, ეტყობა კარგად მიღის საქმე და სულ უფრო მეტად შეიმჩნევა მდგრადობის ნიშნები.
22. როგორც კომისარს მოახსენეს, რიგ კოლექტიურ ცენტრებში კვლავ დგას წყლისა და ჰიგიენური საშუალებების პრობლემა იმის გამო, რომ ეს შენობები თავიდან საცხოვრებლად არ იყო აშენებული. ახალი დასახლებების უმეტესობას არა აქვს ცენტრალური საკანალიზაციო

¹⁴ ამ სოფლების რიცხვშია ზემო ნიქოზი, ახალი ხურგალეთი, ზარდიაანთქარი და გუბულიანთქარი (იხ. აგრეთვე ზემოთ პუნქტი 13)

სისტემა, ზოგს კი საერთოდ არა აქვს ტუალეტი და აბაზანა. ამას თან ერთვის შედარებით ნაკლებ ფართობზე დიდი რაოდენობის ხალხის თავმოყრა, რაც მნიშვნელოვან სანიტარულ პრობლემებს წარმოშობს ზაფხულის პერიოდში. თუმცა, საერთაშორისო ორგანიზაციებმა ზოგიერთ ახალ დასახლებაში ააშენეს ინდივიდუალური ან საერთო ტუალეტები, ზოგიერთი მოსახლე კვლავ უჩივის წყლის მოწოდების ნაკლებობას, რაც, შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ზოგიერთ რეგიონში უწყლობის ზოგად პრობლემასთან. კომისარი კიდევ ერთხელ აღნიშნავს ამ ადგილნაცვალი პირებისთვის მომსახურების ძირითადი სახეების ხელმისაწვდომობისა და ცხოვრების შესაბამისი დონის უზრუნველყოფის აუცილებლობას.

23. წინა მოხსენებებში კომისარმა უკვე მიუთითა, რომ ახალი დასახლებების მშენებლობის ხარისხი (კოტეჯები და ბინები) სხვადასხვა ადგილებში სხვადასხვანაირია. მაგალითად, მშენებლობის დაბალი ხარისხი ხურვალეთის დასახლებაში ქმნის გათბობის პრობლემებს ზამთრის პერიოდში, რაც იწვევს ელექტროენერგიის მოხმარების ზრდას და ამ დასახლების მაცხოვრებლებისათვის მიუწვდომელ გადასახადს. ორგანიზაციამ “საერთაშორისო გამჭვირვალობა” შეაფასა კოტეჯების ხარისხი და დაასკვნა რომ პრობლემები გამოწვეულია არა მშენებლობის დაჩქარებული ტემპით, არამედ არქიტექტურული დაგეგმვარების შეცდომებით.¹⁵
24. 2009 წლის მაისში მიღებული იქნა შესწორებული სამოქმედო გეგმა 2007 წლის შემუშავებული დაგნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის გნესახორციელებლად. 2010 წლის გაზაფხულზე დოკუმენტი შემდგომ დაიხვეწა საზოგადოებრიობის ფართო წრეების მონაწილეობით (მაგალითად ადგილნაცვალი პირების პრობლემებზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მონაწილეობით). გეგმას ორმაგი მიზანი აქვს: გამოასწოროს ადგილნაცვალი პირების საცხოვრებელი პირობები მათი განსახლების პრობლემის უფრო ხანგრძლივი გადაჭრის გზით და გააუმჯობესოს მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა კობა სუბელიანმა 2009 წლის დეკემბერში აცნობა კომისარს, რომ მომავალი ორი წლის განმავლობაში 90000-მდე თჯახისათვის შესაძლებელი იქნებოდა საბინაო პრობლემის გრძელვადიანი მოგვარება. 2010 წლის ივნისისთვის 50000 ადგილნაცვალი თჯახის საბინაო პრობლემის გრძელვადიანი მოგვარება გახდა შესაძლებელი, რაც შესამჩნევი წინსვლაა 2009 წელთან შედარებით, როდესაც მხოლოდ 15000 თჯახს მიეცა ამის საშუალება. მიუხედავად ამისა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ აღნიშნა, რომ 30000 თჯახის საბინაო პრობლემა კვლავ მოსაგვარებელია.
25. სამოქმედო გეგმის მიღება, ისევე როგორც ცოტა ხნის წინ წარმოდგენილი სახელმძღვანელო პრინციპები განსახლების პრობლემის

¹⁵ საერთაშორისო გამჭვირვალობა, საქართველო, კოტეჯური დასახლებები საქართველოს ახალი დევნილებისთვის (IDP): ანგარიშგება დახმარებასა და მშენებლობაში, თბილისი, 2010 წლის აპრილი.

გრძელვადიანი გადაწყვეტისათვის¹⁶, მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია. მაგრამ საქართველოში ვიზიტის დროს კომისრის უურადღება მიეცა დამატებითი სახსრების გამოყოფის აუცილებლობას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიზნების განსახორციელებლად. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავრობამ და მისმა პარტნიორებმა არ მოადუნონ უურადღება ამ პროცესის მიმართ. ამჟამად ძირითადი ხარვეზები დევნილი მოსახლეობის საბინაო პრობლემის გრძელვადიანი გადაჭრის, მათ შორის, ძალადობრივი გამოსახლებისაგან უფასური დაცვის (security tenure უსაფუძლო გამოსახლებისაგან დაცვის გარანტია) სფეროში კვლავ არსებობს. ისევე, როგორც კომისრის წინა ვიზიტების დროს, თანამოსაუბრებებმა მას აცნობეს, რომ უველაზე გავრცელებული პრობლემა დევნილებისთვის სხვადასხვა არჩევანის არსებობის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობაა, მათ შორის, თუ რა პასუხისმგებლობა ეკისრებათ მათ იმ შემთხვევაში, თუ აირჩევენ საკუთრების გადაფორმებას¹⁷ (რასაც ‘პრივატიზაციას’ უწოდებენ) ან საბინაო პრობლემის მოგვარების სხვა, ალტერნატიულ გზებს. ამასთან დაკავშირებით, მისასალმებელია ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისთან (UNHCR) და იუსტიციის სამინისტროსთან ერთად მომზადებული საინფორმაციო ბროშურების გამოშვება. მიუხედავად ამისა, აუცილებელია მიუკერძოებელი ინფორმაციის უზრუნველყოფისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ადგილნაცვალი პირების ჩართვისათვის ძალისხმევის გაგრძელება.

26. დილნაცვალი პირების ბინებით გრძელვადიანი უზრუნველყოფის პროცესი გარდაუვლად გამოიწვევს მათ გადაადგილებას. მაგრამ კომისარი ქლიერ შეაშფოთა იმის გაგებამ, რომ 2010 წლის ზაფხულში 5000-ზე მეტი ადამიანი გამოსახლეს ისეთი ფორმით, რომელიც, არსებული ინფორმაციის თანახმად, ვერ აკმაყოფილებს ვერც შიდა კანონმდებლობისა და პოლიტიკის, და ვერც საერთაშორისო ნორმების მოთხოვნებს¹⁸. ამ კონტექსტში გამოვლენილი პრობლემებიდან – რომლებიც უკვე წამოჭრილია საქართველოს სახალხო დამცველის (ომბუდსმენი) და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა, მათ შორის გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის (UNHCR) მიერ¹⁹ - აღსანიშნავია შემდეგი: გამოსახლებები ჩატარდა ერთი-სამი

¹⁶ დოკუმენტის სრული დასახელებაა: სახელმძღვანელო პრინციპები, კრიტერიუმები და პროცედურები, რომლებითაც უხდა ვიხელმძღვანელოთ გრძელვადიანი საცხოვრებელი ბინების განაწილებისას.

¹⁷ საკუთრება თვით ადგილნაცვალ პირებს გადაეცემათ.

¹⁸ იხ. საქართველოს კანონი ქვეყნის შიგნით დევნილთა (IDP) შესახებ, მუხლი 5, პუნქტი 4, სადაც ჩამოთვლილია, თუ რა მოთხოვნები უნდა იყოს დატმაყოფილებული იმისათვის, რომ გამოსახლება კანონიერად ჩაითვალოს (კონკრეტულ დევნილებთან წერილობითი ხელშეკრულება, ახალი საცხოვრებელი არ უნდა იყოს არსებულზე უარესი, და ა.შ.). ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებაში საღიანებული და სხვები საქართველოს წინაღმდეგ საქმეზე (საჩივარი №18768/05, 2010 წლის 27 მაისი) დაწვრილებითაა მითითებული როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ნორმები. ასევე იხ. სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების კომიტეტის (CESCR) ზოგადი კომენტარი №7, რომელიც ეხება შესაფერისი საცხოვრებლის უფლებებს (მუხლი. 11.1): ძალადობრივი გამოსახლებები, რომელიც მოიპოვება

<http://www.unhchr.ch/tbs/doc.nsf/0/959f71e476284596802564c3005d8d50?OpenDocument> ვებ გვერდზე

¹⁹ იმ საერთაშორისო ორგანიზაციების რიცხვში, რომლებმაც შეშფოთება გამოიყენებს გამოსახლებების გამო, UNHCR-ის გარდა არაან ევროკავშირი და სხვა დონორი ორგანიზაციები, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE) მიგრაციის, ლტოლვილთა და მოსახლეობის კომიტეტის თავმჯდომარე და ა.შ.

დღით ადრე გაცემული ზეპირი გაფრთხილების საფუძველზე; ზოგიერთ შემთხვევაში საერთოდ არ გაცემულა არანაირი გაფრთხილება; ახალი საცხოვრებელი ადგილის შესახებ ინფორმაციის არარსებობა გაცნობიერებული არჩევანის საშუალებას არ იძლეოდა; ზოგ შემთხვევაში ალტერნატიული თავშესაფარი ნორმალური ცხოვრების მინიმალურ მოთხოვნებს არ აქმაყოფილებდა; არსებული საცხოვრებლის მახლობლად ალტერნატივის არ არსებობა; და გამოსახლების პროცესში სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხოფის ფაქტები. გამოსახლებულთა შორის იყვნენ ისეთებიც, ვისაც ახალი საცხოვრებელი ან კომპენსაცია საერთოდ არ შესთავაზეს. სახალხო დამცველის (ომბუდსმენის) თქმით, პროცესში შესამჩნევი დაძაბულობა და დევნილი მოსახლეობის უქმაყოფილება გამოიწვია.

27. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის საქართველოს ოფისმა 2010 წლის 11 აგვისტოს წერილი გაუგზავნა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, რომელშიც ხაზგასმით იყო მითითებული, რომ გამოსახლება შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის სრულად შეესაბამება ქართული და საერთაშორისო სამართლის ნორმებს. იმავე წერილში შეთავაზებული იყო გამოსახლებებზე ერთ-თვიანი მორატორიუმის გამოცხადება. სამინისტრომ თავიდან უარჲყო აღნიშნული შეთავაზება, თუმცა ამ საქმეში შესაბამისი სუბიექტების დამატებითი ჩარევის შემდეგ, 2010 აგვისტოს ბოლოს გამოსახლებები დროებით შეჩერდა.
28. კომისარი საგსებით ეთანხმება იმ რეკომენდაციებს, რომლებიც 2010 წლის ზაფხულში ჩატარებულ გამოსახლებებთან დაკავშირებით გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის, სახალხო დამცველის (ომბუდსმენის) და სხვა სუბიექტებისგან მომდინარეობს. მომავალში მობინადრეებმა საკმარისი დროით ადრე უნდა მიიღონ გამოსახლებაზე წერილობითი გაფრთხილება ისევე, როგორც ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა ალტერნატივებს სთავაზობენ. სახელისუფლებო ორგანოებს არ უნდა დაავიწყდეთ, რომ თითქმის 20 წლის განმავლობაში დედაქალაქში ცხოვრებას შეჩვეული ადამიანების გარეუბნებში გადასახლებას შესაძლებელია მოჰყვეს მნიშვნელოვანი გართულებები, მათ შორის, შემოსავლის წყაროს დაკარგვა (იხ. ამასთან დაკავშირებით ქვემოთ პუნქტები 31-33). გარდა ამისა, განსაკუთრებული უურადღება უნდა მიექცეს იმ ბავშვების მოთხოვნილებებს, რომლებიც უკვე მოყვნენ გამოსახლებაში, და იმათიც, ვისაც კიდევ მოელით საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, აუცილებელია მათთვის უწყვეტი სწავლის პროცესის უზრუნველყოფა.
29. კომისარი მოუწოდებს საქართველოს სახელისუფლებო ორგანოებს, გაითვალისწინონ ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც ჩამოთვლილია დევნილთა უფლებების საკითხებში გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ვალტერ კიოლინის ნაშრომში “იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემების გრძელვადიანი გადაწყვეტის საკითხები” (**framework**). კომისარი იმედოვნებს, რომ საქართველოს დევნილთა საბინაო პრობლემის გადაწყვეტის სამოქმედო გეგმის განხორციელება ამ პრინციპების გათვალისწინებით წარიმართება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ადგილნაცვალ პირებს ნებაყოფლობითი და გააზრებული არჩევანის გაკეთების

საშუალება პქონდეთ, მონაწილეობა მიიღონ პრობლემის გრძელვადიანი გადაწყვეტის დაგეგმვასა და მართვაში, პქონდეთ კაგშირი პუმანიტარული და განვითარების პროგრამების წარმომადგენლებთან, ხელი მიუწვდებოდეთ მონიტორინგის ქმედით მექანიზმებზე. წარმატების უფრო სწრაფად მისაღწევად, ხაზგასმულია ახევე სამშვიდობო პროცესის გააქტიურების აუცილებლობა.²⁰

30. საქართველოს კანონი იძულებით გადაადგილებული პირების შესახებ ითვალისწინებს უფასო **ჯანდაცვას** დევნილებისათვის. მაგრამ ის ადამიანები, ვისაც ჯერ არ მიუღია დევნილის სტატუსი, მიუხედავად კოლექტიურ ცენტრებში ცხოვრებისა, ვერ სარგებლობენ ამ უფლებით ავტომატურად. რაც შეეხება კონფლიქტით დაზარალებულ პირთა ფსიქოლოგიურ პრობლემებს - რომელთაგან ბევრი დრმად არის ტრავმირებული - როგორც კომისართან საუბრებში აღინიშნა, ძალიან ცოტა რამ კეთდება მათ მოსაგვარებლად. კომისარი დაბეჯითებით მოუწოდებს ყველა შესაბამის სუბიექტს, გააძლიერონ ძალისხმევა ამ მიმართულებით და გადაჭრან დევნილის სტატუსის არ მქონე პირების ჯანდაცვით უზრუნველყოფის პრობლემა.
31. დახმარების გამდები ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები ძალ-ღონებს არ იშურებენ ახალი დასახლებების ბინადართა საკუთარი ბალების რწმენის ამაღლებისა და მათთვის საარსებო საშუალებების მოპოვების გზების ძიებისათვის. უმუშევრობის ზოგადად მაღალი დონის პირობებში დამატებითი სიძნელეები ექმნებათ ახალი დასახლებების მაცხოვრებლებს სხვადასხვა მიზეზების გამო, რომელთა შერისაა დასახლებების მოშორებული განლაგება, მათთვის დარიგებული სახნავი მიწების დამუშავების შეუძლებლობა სარწყავი საშუალებების უქონლობის გამო ან თვით მიწის უნაყოფობის გამო. იმ ხალხისათვის, ვინც პლაზ კოლექტიურ ცენტრებში ან კერძო სექტორში ცხოვრობს, შემოსავლის მოპოვებისა და საკუთარი თავის იმედზე ყოფნის პერსპექტივა კიდევ უფრო შეზღუდულია.
32. 2009 წლის დეკემბრის ვიზიტის დროს კომისარი შეხვდა შიდა ქართლის გუბერნატორს, რომელსაც გადასცა **ადმინისტრაციული სასახლევრო ზოლის უშუალოდ მიმდებარე სოფლების კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის კონკრეტულ მოთხოვნილებებთან დაკავშირებული რეკომენდაციების²¹ მთელი პაკეტი. კომისარმა სიამოვნებით მოისმინა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ამ რეგიონის რიგი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტი დაგეგმილია კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის მოთხოვნილებათა გათვალისწინებით და მოიცავს სოციალურ დახმარებას, ჯანდაცვასა და დასაქმების მუნიციპალურ პროგრამებს. აუცილებელია ასეთი ძალისხმევის გაგრძელება და შემდგომი განვითარება, რადგანაც ამ რეგიონის მოსახლეობას ნაკლებად მიუწვდება ხელი საერთაშორისო**

²⁰ დევნილთა უფლებების საკითხებში გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ვალტერ კოლინის ანგარიში, დანართი: დევნილთა პრობლემების გრძელვადიანი გადაწყვეტის საკითხები 2009 წლის 29 დეკემბერი.

²¹ რეკომენდაციების პაკეტი შიდა ქართლის რეგიონის კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისათვეს. შემუშავებულია გაეროს სხვადასხვა სააგენტოს, ევროპის საბჭოსა და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მოპოვებული ფაქტების საფუძველზე, 2009 წლის ნოემბერი

ორგანიზაციების მიერ მოწოდებულ პუმანიტარულ დახმარებაზე, ხოლო კონფლიქტის შედეგები კვლავაც მძიმე გავლენას ახდენს ბევრი მათგანის ყოფაზე.

33. ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის მიმდებარე ზოგიერთ სოფელში ბევრი ოჯახი ვერ სარგებლობს საგუთარი სასოფლო-სამეურნეო მიწებითა თუ სამოვრებით, ანუ ხელი არ მიუწვდებათ უპირველეს საარსებო წყაროზე. ამ სოფლების მაცხოვრებლებთან გასაუბრების საფუძველზე²² ცხადი ხდება, რომ შემოსავლის უმთავრეს წყაროს პენსიები, სოციალური დახმარებები და საჯარო მოხელეთა ხელფასები წარმოადგენს. ხშირია საბარტერო გაცვლებიც. იმ ოჯახებმა, რომელთა სახლებიც საომარი მოქმედებების დროს დაინგრა, სახელმწიფოსგან მიიღეს კომპენსაცია 10000 აშშ დოლარის (დაახლოებით 7800 ევრო) ოდენობით. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისმა მათთვის ააშენა პატარა ერთოთახიანი კოტეჯები მათი ყოფილი სახლების მიმდებარე ბაღებში. ბერვი ასეთი ოჯახი დღესაც ამ კოტეჯებში ცხოვრობს, ისინი წინააღმდეგი არიან დახარჯონ ფული რეკონსტრუქციაში ან აცხადებენ, რომ ეს ფული უკვე დახარჯეს სხვა მიზნებისათვის. ადმინისტრაციული საზღვრიდან მოშორებით მდებარე სოფლებში რეკონსტრუქციის ნიშნები ბევრად უფრო ნათელია.
34. შიდა ქართლის რეგიონის სოფლებისთვის განკუთვნილი ჯანდაცვის დაწესებულებათა რიცხვი შეზღუდულია, ხშირად მწირი აღჭურვილობა გააჩნიათ და/ან სოფლიდან დიდი მანძილითაა მოშორებული, ანუ ძნელად მისაღვომია, განსაკუთრებით მოხუცი და ავადმყოფი ადამიანებისათვის. ბევრი მოსახლე აღნიშნავს, რომ წამლების ყიდვის საშუალება არა აქვთ. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ამ რაონის მოსახლეობა მუდმივად მიუთითებს ფსიქოლოგიური დახმარების საჭირებაზე. სახელისუფლებო ორგანოებმა და საერთაშორისო საზოგადოებრიობამ უფრო ქმედითი ზომები უნდა მიიღონ ამ პრობლემების მოსაგვარებლად.

2.3. სახაფეთქებლებისა და ომის სხვა ნარჩენებისაგან დაცულობის უფლება

35. კომისარმა სიამოვნებით აღნიშნა, რომ 2009 წლის დეკემბერში თითქმის დამთავრებული იყო შიდა ქართლის 25 დაზარალებული სოფლიდან ომის ნარჩენების გატანა. **Halo Trust**-მა გაანადგურა დაახლოებით 1700 კასეტური იარაღი და 2000 სხვა პოტენციურად საშიში მოწყობილობა დაახლოებით 38000 ადამიანით დასახლებულ რაიონში. 2010 წლის ივნისის შუა რიცხვებისათვის, კიდევ ერთმა ორგანიზაციამ, ნორვეგიის ხალხის დახმარება (**Norwegian People's Aid**), რომელიც გაწმენდის სამუშაოებს ასრულებს, ასევე დაამთავრა ოპერაციები შიდა ქართლში.
36. წინა ანგარიშში კომისარი მიესალმებოდა სხვადასხვა სუბიექტის, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციების, სპეციალიზებული სამთავრობო უწყებების, საქართველოს სახელსუფლებო ორგანოებისა და **EMERCOM**-ის საგანმანათლებლო საქმიანობას ომის ნარჩენებისგან

²² კონფლიქტით დაზარალებულ სოფლებში ადამიანის უფლებათა დაცვის გაეროს ქალთა ფონდისა (UNIFEM) და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტის ფარგლებში

მომდინარე საფრთხის შესახებ, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი მოსახლეობისა და განსაკუთრებით ბავშვებისათვის. ამ საქმიანობის შედეგად შესაძლებელი გახდა ინციდენტების რიცხვის შედარებით დაბალ ნიშაულზე შენარჩუნება. კომისარი მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, ჩართოს სასკოლო პროგრამებში საუბრები ომის ნარჩენებისაგან მომდინარე საფრთხეების შესახებ, რამდენადაც არ არის გამორიცხული, რომ საშიში საგნები ჯერ ისევ ადგილზეა ან ამ პერიოდში ხელახლაა დადებული.

37. კომისარს აცნობეს, რომ EMERCOM-მა გაიტანა ომის ნარჩენები სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ადმინისტრაციის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან. თუმცა, ამ მუშაობის შედეგებზე და ასევე იმაზე, თუ რა სახის საგანმანათლებლო ზომები იქნა მიღებული იქაური მოსახლეობისათვის, ცოტა რამ არის ცნობილი. ზემო კოდორის ხეობაში Halo Trust-ი ანხორციელებს განნაღმით სამუშაოებს, რომლებიც 2011 წლის მარტში უნდა დასრულდეს. როგორც კომისარმა მრავალგზის გაუსვა ხაზი, ასაფეთქებლებისა და ომის სხვა ნარჩენებისაგან განთავისუფლება, ერთის მხრივ, სასიცოცხლო მნიშვნელობისაა კონფლიქტით დაზარალებულ ზონაში დარჩენილი მოსახლეობისთვის, ხოლო მეორეს მხრივ, დევნილთა დაბრუნების უფლების რეალური განხორციელებისათვის წინაპირობას წარმოადგენს. ყველა დაინტერესებულმა მხარემ უნდა გააგრძელოს საქმიანობა ამ მიმართულებით.
38. ადრე კომისარმა არაერთხელ გამოსთხვა შეშფოთება კონფლიქტის დროს როგორც საქართველოს, ისე რუსეთის მიერ კასეტური ბომბების შესაძლო გამოყენების გამო. ამ საკითხთან დაკავშირებით საერთაშორისო ფაქტების დამდგენი მისია (IFFMMCG) და არასამთავრობო ორგანიზაციები “ჰიუმან რაიტს ვოჩი” (Human Rights Watch) და “ემნესტი ინტერნეშნალი” (Amnesty International) ერთი და იგივე დასკვნამდე მივიღნენ – როგორც საქართველომ, ისე რუსეთმა გამოიყენეს ასეთი სახის ბომბები (საქართველომ გამოიყენა როგორც კასეტური იარაღი, ასევე გრადის ტიპის ზალპური ცეცხლის სარაკეტო სისტემები), რამაც გამოიწვია “უწესრიგო შეტევები და სიფრთხილის ზომების წესების დარღვევა”.²³ ამ დასკვნას ადასტურებს ადგილზე ამოღებული ომის ნარჩენებიც.
39. კომისარი მწუხარებით აღნიშნავს, რომ დღემდე არც რუსეთის ფედერაციას და არც საქართველოს არ გადაუდგამო ნაბიჯები კასეტური იარაღის შესახებ კონვენციის ხელმოსაწერად და მისი რატიფიკაციისათვის. ამ კონვენციას, რომელიც 2008 წლის 1 აგვისტოს შევიდა ძალაში, უკვე მოაწერა ხელი 108 სახლემწიფომ (მათ შორის 32 ევროპის საბჭოს წევრმა სახლემწიფომ) და ის რატიფიცირებულია 39 ქვეყნის მიერ (აქედან 18 ევროპის საბჭოს წევრი სახლემწიფო).²⁴ კომისარი ვალდებულია, გაიმეოროს საქუთარი მოწოდება ორივე სახელმწიფოს მიმართ – სხვა საერთაშორისო სუბიექტების

²³ IFFMCG-ს ანგარიში, 2009 წლის სექტემბერი, ტომი II, გვ. 343. რუსეთის ხელისუფლება ამტკიცებდა, რომ საომარი ქმედებების დროს კასეტური იარაღი არ გამოუყენებია.

²⁴ <http://www.clusterconvention.org/>

კვალდაკვალ – რაც შეიძლება სწრაფად მოაწერონ ხელი ამ დოკუმენტს და მოახდინონ მისი რატიფიცირება. ამ კონტექსტში საჭიროა გამოძიებულ იქნას 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის დროს ჩადენილი საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევები.

2.4. უკანონობისგან დაცვის უფლება

- 40.** უსაფრთხოების თვალსაზრისით სიტუაცია კონფლიქტით დაზარალებულ რაიონებში მთლიანად უფრო სტაბილური გახდა. ევროპაგმირის სადამკვირვებლო მისის (EUMM) ადგილზე ყოფნამ ხელი შეუწყო სიტუაციის ნორმალიზაციას. მიუხედავად ამისა, ინციდენტები და დაბატულობა პერიოდულად მაინც შეიმჩნევა, განსაკუთრებით ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის გასწვრივ. ზოგიერთ რაიონში მუდმივად გაისმის სროლის (როგორც წესი უმიზნო) ხმა. გარდა ამისა, არსებობს სოფლების გარკვეული რაოდენობა, რომელთა ზოგიერთ უბნებში დაბრუნება შეუძლებელია სახლების გეოგრაფიული მდებარეობის გამო. ზოგს აქვს დაუცველობის ძლიერი განცდა, რაც თავისთავად ხელისშემშლელი შეიძლება იყოს რეკონსტრუქციისა და სტაბილურობისკენ შემობრუნებისთვის. კომისრის ბოლო ანგარიშის გამოქვეყნებიდან (2009 წლის მაისი) დღემდე (სამხრეთ ოსეთის) ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის მიმდებარე ტერიტორიაზე ფარალური ინციდენტები არ მომხდარა, რაც თავისთავად დიდი წინ გადადგმული ნაბიჯია.
- 41.** კომისარი კიდევ ერთხელ მოუწოდებს მხარეებს, შექმნან უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ურთიერთნდობის განმტკიცების სიცოცხლისუნარიანი მექანიზმები იმ მოსახლეობისათვის, რომელიც ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის მიმდებარე ტერიტორიაზე და ასევე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ცხოვრობს. მიუხედავად იმისა, რომ ხალხი ვერ სარგებლობს დაბრუნების უფლებით, ბევრი ადამიანი კვეთს ადმინისტრაციულ საზღვარს ნათესავებთან სტუმრობის მიზნით, რელიგიური ადგილებისა და საფლავების მოსანახულებლად ან უბრალოდ, პროდუქტის მარაგის ასაღებად. კომისარი მიესალმება ყველა ინიციატივას, მიმართულს ასეთი მიმოსვლისათვის ხელშეწყობისა და მისი შემდგომი გააქტიურებისაკენ (იხ. ასევე წინამდებარე ანგარიშის პუნქტები 10, 12, 48 და 52)
- 42.** კომისარმა თავის ბოლო ანგარიშში მოიწონა ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) შექმნა და ყველა სუბიექტს მოუწოდა მისი კეთილსინდისიერი შესრულებისაკენ. სამხრეთ ოსეთის მხარესთან პირველი შეხვედრა ჩატარდა 2009 წლის მაისში, რის შემდეგაც, 2009 წლის აგვისტო-სექტემბრის პერიოდში კიდევ რამდენიმე შეხვედრა შედგა. მას შემდეგ, სამხრეთ ოსეთის მხარესთან შეხვედრის მოწყობა შეუძლებელი გახდა (გამონაკლისს წარმოადგენს 2010 წლის ივნისის მოკლე შეხვედრა, რომლის დროსაც კომისრის განცხადება იქნა გადაცემული ტელეფონით). კომისარი იმედოვნებს, რომ IPRM ხელს შეუწყობს უსაფრთხოების თვალსაზრისით სიტუაციის გამოსწორებას, აგრეთვე კონფლიქტით დაზარალებულ რაიონებში მცხოვრები ადამიანების დაცვას და იმედს გამოსთქვამს, რომ უახლოეს მომავალში შეხვედრები აღსდგება.

43. კომისარმა ცნობად იღო, რომ 2009 წლის ივლისში დაიწყო IPRM შეხვედრები აფხაზურ მხარესთან. ამ შეხვედრების დროს კონსტრუქციულად იქნა განხილული მთელი რიგი ინციდენტებისა, თუმცა გალის რაიონში სიტუაცია უსაფრთხოების ოვალსაზრისით პვლავ დაძაბული რჩება. ამასთან დაკავშირებით, კომისარი მხარს უჭერს IFFMMC -ს მოწოდებას, გაძლიერდეს ძალისხმევა “დამოუკიდებელი, ნეიტრალური და ქმედითი საერთაშორისო ძალების განლგებისათვის კონფლიქტის ზონაში მშვიდობის შესანარჩუნებლად”²⁵ (იხ. ასევე ქვემოთ თავი 2.6)
44. როგორც ევროპის საბჭოს წინა ანგარიშებშია აღნიშნული,²⁶ სოფელ პერევში არსებული სიტუაცია კვლავ საგანგაშოა. სოფელი საჩხერის რაიონშია განლაგებული (საქართველოს მიერ კონტროლირებადი ტერიტორია) და მას სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, რადგან სამხრეთ ოსეთის ზოგიერთი სოფლის ერთმანეთთან დამაკავშირებელი გზა მასზე გადის. მიუხედავად საერთაშორისო საზოგადოებრიობის არაერთი მოწოდებისა, სოფელ პერევიდან არ გადის სამხრეთ ოსეთისა და რუსეთის უსაფრთხოების შეიარაღებული პერსონალი. სიტუაცია უსაფრთხოების თვალსაზრისით არასტაბილურია, ადგილი პქონდა რამდენიმე ინციდენტს. ის ვაქტი, რომ, 2009 წლის ნოემბრის შემდეგ გაეროს ორგანიზაციებს, რომლებიც დახმარებას უწევენ მოსახლეობას, არ პქონდათ პერევში შესვლის საშუალება, გარდა 2010 წლის ერთჯერადი ვიზიტისა, თავისთავად დიდი შეშფოთების საგანს წარმოადგენს. კომისარი მოუწოდებს შესაბამის სუბიექტებს, მისცენ დაუბრკოლებული შესვლის საშუალება ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს.
45. თავის წინა ანგარიშებში კომისარი მიუთითებდა კონფლიქტის ყველა მხარის მიერ ჰუმანიტარული კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების დოკუმენტური აღრიცხვისა და მათზე გამოძიების ჩატარების აუცილებლობაზე. IFFMMCG-ის შექმნა, მისი საქმიანობა, და მის მიერ მიკვლეული ფაქტები მნიშვნელოვნად დაეხმარება იმ საერთაშორისო იურიდიული ორგანიზაციების მუშაობას, სადაც შევიდა კონფლიქტთან დაკავშირებული ინდივიდუალური და/ან სახელმწიფოთაშორისი საჩივრები, კერძოდ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს.
46. 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტთან დაკავშირებით 3000-ზე მეტი ინდივიდუალური საჩივარია შესული ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. 2009 წლის ბოლოს განხორციელებული ვიზიტების დროს კომისარმა მიიღო სამწუხარო ინფორმაცია, რომ ზოგიერთმა საჯარო მოხელემ საქართველოში გააკრიტიკა, მათ შორის საჯაროდაც, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც კონფლიქტთან დაკავშირებულ საქმეებში საქართველოს წინააღმდეგ მომჩივანების ინტერესებს წარმოადგენენ სასამართლოში. კომისარმა

²⁵ IFFMGC ანგარიში, 2009 წლის სექტემბერი, ტომი I, გვ. 35

²⁶ იხილე გენერალური მდივნის მიერ წარმოდგენილი სამი ანგარიში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგრძალებაზე საქართველოს კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში: SG/Inf(2009)7, SG/Inf(2009)9 and SG/Inf(2009)15 საბოლოო.

ასევე მიიღო რამდენიმე უტყუარი ცნობა იმ სირთულეებზე, რომლებსაც ადამიანის უფლებათა საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფები აწყდებიან სამხრეთ ოსეთში. 2010 წლის 24 ივნისს თემურ ცხოვრებოვს, უურნალისტსა და სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტს, თავს დაესხნენ ცხინვალში, რის შემდეგაც ის საავადმყოფოში გადაიყვანეს. ამ ინციდენტის წინ ბ-ნი ცხოვრებოვი მონაწილეობდა ნიდერლანდებში ნდობის აღდგენის საკითხებზე ჩატარებულ დონისძიებაში. ამის შემდეგ, მან გამოაქვეყნა მიმართვა უენევის მოლაპარაკებების მონაწილეებისადმი, რომლის მიზანიც იყო ადამიანის უფლებათა და პუმანიტარულ სფეროში 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შედეგად წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. ამ უკანასკნელმა დაიმსახურა კრიტიკა და საჯაროდ იქნა დაგმობილი ცხინვალის დე ფაქტო ადმინისტრაციის მიერ. როგორც იტყობინებიან, ამ დონისძიების სხვა მონაწილეებზედაც ხორციელდებოდა ზეწოლა და დაშინება.

- 47.** კომისარი დაბეჯითებით უჭერს მხარს ყველა მხარის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისა და სხვა სუბიექტების საქმიანობას ნდობის აღდგენის და ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით. იგი სინაზულს გამოსთვამს თემურ ცხოვრებოვის ფიზიკური ხელყოფის გამო და მოუწოდებს დე ფაქტო ხელისუფლებას, სასწრაფო ზომები მიიღოს ზეწოლის, დაშინებისა და ამგვარი თავდასხმების თავიდან ასაცილებლად. კომისარი ასევე სწუხს იმის გამო, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები უარყოფით განცხადებებს აკეთებენ აქტივისტებისა და კონფლიქტთან დაკავშირებული ადამიანის უფლებების დარღვის საქმეებით დაკავებული იურისტების მუშაობასთან დაკავშირებით. ეს ადამიანები მნიშვნელოვნად ეხმარებიან კონფლიქტის მსხვერპლებს სამართლის ძიებაში და ამიტომ უნდა მიეცეთ შეუფერხებელი მუშაობის საშუალება უსაფუძვლო ზეწოლის გარეშე. ამასთან დაკავშირებით კომისარი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ საერთაშორისო პუმანიტარული კანონმდებლობის და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კანონმდებლობის დარღვევების ფაქტები დაუსჯელი არ უნდა დარჩეს, ხოლო მათზე პასუხისმგებელი პირები სამართალში უნდა იქნენ მიცემულნი.

2.5 პატიმართა დაცვა და განთავისუფლება და მძევლად აყვანის პრევენცია

- 48.** 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების დასრულებისთანავე უამრავი ადამიანი იქნა დაპატიმრებული ან დატყვევებული. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა (ICRC), კომისარმა და სხვა სუბიექტებმა თავისი წვლილი შეიტანეს ბევრი პატიმრის განთავისუფლებასა და გვამების ნათესავებისათვის დაბრუნებაში. 2009 წლის ზაფხულში მხარეები IPRM-ის ფარგლებში არაოფიციალურად შეთანხმდნენ, რომ “შემთხვევითი დამრღვევები” (ანუ ადმინისტრაციული საზღვრის გადამკვეთი ადამიანები) არ იქნებოდნენ დაკავებულნი. სამწუხაროდ, 2009 წლის მეორე ნახევარში შესამჩნევად გაიზარდა იმ ადამიანების რიცხვი, ვინც დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებმა დააკავეს “ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლის “უკანონო გადამკვეთის” გამო. ქართულმა მხარემ ასევე დაკავარულების ფედერაციის რამდენიმე მოქალაქე, რომლებიც ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონის დარღვევით შემოვიდნენ

საქართველოში. ასევე დააკავეს სამხრეთ ოსეთის რამდენიმე მაცხოვრებელი, რომლებიც, საგარაუდოდ, იარაღს ატარებდნენ.

49. ამ ფაქტების ფონზე კომისარმა განაახლა ძალისხმევა პატიმართა განთავისუფლებისა და დაკარგული ადამიანების ბედის გარკვევის მიმართულებით. თავის ქმედებებში ის ყოველთვის ხელმძღვანელობდა – შესაძლებლობის ფარგლებში – ამ ადამიანების და მათი ოჯახების ტანჯვის შემსუბუქების სურვილით. ოჯახის წევრებს უფლება აქვთ, კალავ თავის საყვარელ ადამიანებთან ერთად იყვნენ ან იცოდნენ, თუ რა ბედი ეწიათ მათ.
50. 2009 წლის ნოემბერსა და დეკემბერში კომისარი ორჯერ ეწია საქართველოს პატიმრების განთავისუფლების შესახებ ორივე მხარესთან მოლაპარაკებების გამართვის მიზნით. მეორე ვიზიტის დროს 2009 წლის დეკემბერში სამხრეთ ოსეთის მხარემ გაანთვისუფლა ეთნიკურად ქართველი ხუთი არასრულწლოვანი, რომლებიც ცხინვალში იხდიდნენ პატიმრობას. ქართული მხარის მიერ კონფლიქტის შემდეგ დაპატიმრებული ხუთი ეთნიკურად ოსი ასევე განთავისუფლდა.
51. კომისარს 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის დროს დევნილი ჩვიდმეტი წლის გიორგი არჩუაბის საქმე სამაგალითოდ მიაჩნია. ეს ყმაწვილი, რომელიც მოელი ცხოვრება სამხრეთ ოსეთის მკვიდრი იყო, დააპატიმრეს 2009 წლის ივლისის დასაწყისში, სოფელ ბელოთში (პატარა ლიახვის ხეობა) საკუთარ სახლში სტუმრობისას. გადმოცემით, ცხინვალის სასამართლომ მას ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა ‘საზღვრის უკანონოდ გადაკეთისოვის’. 2009 წლის 19 დეკემბერს, პატიმრობის ვადის გასვლამდე დაახლოებით ორი კვირით ადრე, იგი გაანთვისუფლეს. კომისარი მოუწოდებს ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებას და რუსეთის უშიშროების ძალების წარმომადგენლებს, თავი შეიკავონ კონფლიქტით დაზარალებული რაიონების მცხოვრებთა უმიზეზოდ დასჯისაგან მხოლოდ იმ ფაქტის გამო, რომ მათ გადაკვეთეს ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლი.
52. საჯარო გამოსვლებსა და განცხადებებში, ისევე როგორც მხარეებთან და საერთაშორისო საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან შეხვედრებისას, კომისარი მუდმივად უსვამდა ხაზს ადამიანების გატაცების და მძევლად აყვანის წინააღმდეგ სახელისუფლებო ორგანების მტკიცე პოზიციის აუცილებლობას. ეს ქმედებები სერიოზული სისხლის სამართლის დანაშაულია და მათი შეწყნარება არანაირ გარემოებებში არ შეიძლება.
53. 2010 წლის მარტში კომისარმა გადაწყვეტილების მიმდებ შესაბამის პირებს თბილისსა და ცხინვალში გადასცა მემორანდუმი, რომელიც შეიცავს 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის შედეგად დააპატიმრებულ და დაკარგულ ადამიანებთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრისაკენ მიმართულ რიგ რეკომენდაციებს. კერძოდ, მემორანდუმი მოუწოდებს მხარეებს დაუყოვნებლივ, ერთდროულად გაანთვისუფლონ ყველა პატიმარი ახალ-ახალი პირობების წაყენებისა და სულადობის დათვლაზე დაფუძნებული “ვაჭრობის” გარეშე. მემორანდუმი ასევე შეიცავს რეკომენდაციას, რომ ამ მიზნებისათვის გათვალისწინებულ

იქნეს ისეთი ზომები, როგორიცაა ვადაზე ადრე განთავისუფლება, შეწყნარება ან ამნისტია.

54. საქართველოს ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ გაანთავისუფლა 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების შემდეგ თავისუფლება-აღკვეთილი ექვსივე პიროვნება, მაშინ როდესაც სამხრეთ ოსეთის მხარემ მემორანდუმში აღნიშნული 13 პატიმრიდან მხოლოდ ექვსი გაანთავისუფლა. კომისარი მიესალმება მემორანდუმში აღნიშნული რეკომენდაციების შესრულებისაკენ ორივე მხარის მიერ გადადგმულ პირველ ნაბიჯებს. ასევე დადებით შეფასებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ მხარეებისათვის მემორანდუმის გადაცემის შემდეგ თითქმის არ ჰქონია ადგილი ხანგრძლივ დაკავებებს. ამასთანავე, კომისარი წუხილით აღნიშნავს, რომ კიდევ ბევრი ადამიანი რჩება ცხინვალში პატიმრობაში. ეს ადამიანები უნდა განთავისუფლდნენ და სასწრაფო ნაბიჯები უნდა გადაიდგას ოჯახებში მათ დასაბრუნებლად.
55. კომისარს განსაკუთრებით აღელვებს ცხინვალში მყოფი ზოგიერთი პატიმრის ჯანმრთელობის ცუდი მდგომარეობა და მოუწოდებს შესაბამის ორგანოებს, ეს საკითხები, პუმანური მოსაზრებებიდან გამომდინარე, ჩათვალონ პრიორიტეტულად. ამასობაში საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას ოჯახის წევრებისათვის ციხეში მყოფი ნათესავების მონახულების საშუალება. ამ მხრივ კომისარი მიესალმება იმ ფაქტს, რომ ეს მონახულებები განახლდა 2010 წლის ივნისში – ორივე მიმართულებით – წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დახმარებით.²⁷
56. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი აგრძელებს მხარეებისათვის დახმარებას 2008 წლის კონფლიქტის დროს და მის შემდეგ გაუჩინარებული ადამიანების ბედის გარკვევასა და გვამების ნათესვაებისათვის გადაცემაში. 2010 წლის თებერვალში ამ საკითხების მოსაგვარებლად შეიქმნა საკოორდინაციო მექანიზმი წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ეგიდით. ამ დროისათვის ჩატარებულია ორი შეხვედრა 2010 წლის თებერვალსა და მაისში. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ცნობით, მხარეებს დაურიგდათ დაკარგულთა წინასწარი 47-კაციანი სია.²⁸ კომისარი კიდევ ერთხელ აღნიშნავს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს შესაბამისი სახელისუფლებო ორგანოების მიერ იმის დადასტურებას, რომ უკელანირი დონე იხმარეს დაკარგულების ბედის გასარკევად და თითოეული გაუჩინარების გარემოებების დასადგენად. ეს ვალდებულება საიმედოდ არის გამაბრებული საერთაშორისო პუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებების შესახებ კანონის ნორმებით. 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის დროს და მის შემდეგ გაუჩინარებულ ადამიანებთან ერთად არსებობს კიდევ 1900-ზე მეტი პიროვნება, ვინც 90-იანი წლების დასაწყისში მომხდარი კონფლიქტების შემდეგ დაკარგულად ითვლება.
57. ამ ძალისხმევაში საკუთარი წვლილის შეტანის მიზნით, 2010 წლის თებერვალში კომისარმა საქართველოში მიავლინა სისხლის

²⁷ იხ. <http://www.icrc.org/web/eng/siteeng0.nsf/html/georgia-news-110610>! დია დოკუმენტი

²⁸ ICRC news release 10/73 of 29/04/2010

სამართლის სერიოზული საქმეების (მათ შორის საერთაშორისო და პოსტკონფლიქტურ კონტექსტში) გამოძიებაში გამოცდილი ორი ექსპერტი. მათ მონიტორინგი უნდა გაეწიათ 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის დროს და მის შემდეგ ყველა მხარეს მომხდარი გაუჩინარების ზოგიერთი საქმის გამოძიების პროცესისათვის. ამ საქმეთა შორის იყო 2008 წლის ოქტომბერში გაუჩინარებული ოსი ეროვნების სამი ახალგაზრდის საქმის გამოძიება. ექსპერტებმა საქართველოში მუშაობა დაასრულეს 2010 წლის ივნისში. მუშაობის პროცესში ექსპერტებმა, შესაბამისი გამოძიებების თვეებზე უზრუნველყოფის მიზნით, რამდენიმე რეკომენდაცია მისცეს ადგილობრივ პარტნიორებს. ექსპერტების ანგარიში ცალკეა გამოქვეყნებული.

2.6 საერთაშორისო დახმარება და ადგილზე ყოფნა

58. ეუთოს (OSCE) მომქმედი თავმჯდომარის მნიშვნელოვანი ძალისხმევის მიუხედავად, ეს ორგანიზაცია ჯერ-ჯერობით ვერ ახერხებს საკუთარი მისის აღდგენას საქართველოში. ამასთან ერთად, 2009 წლის 15 ივნისს გაეროს უშიშროების საბჭომ არ დაამტკიცა საქართველოში გაეროს სადამკვირვებლო მისის (UNOMIG) გაგრძელების რეზოლუცია, როთაც ბოლო დაედო მის 16-წლიან ყოფნას კონფლიქტის ზონაში. აფხაზეთში UNOMIG-ის ადამიანის უფლებათა ოფისის დახურვასთან ერთად გაქრა ამ ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დამცველი ერთადერთი საერთაშორისო მისია.
59. დღეს-დღეობით ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია (EUMM) ადგილზე მომქმედი ერთადერთი საერთაშორისო სუბიექტია, რომელსაც გააჩნია კონფლიქტთან დაკავშირებული მონიტორინგის მანდატი. EUMM-ის მანდატი გაგრძელებულია 2011 წლის სექტემბრამდე, თუმცა უნდა ითქვას, რომ მისიას არა აქვს სეპარატისტულ რეგიონებში შესვლის საშუალება.
60. არანაირი მნიშვნელოვანი წინსვლა საერთაშორისო პუმანიტარული სუბიექტების სამხრეთ ოსეთში შედწევის თვალსაზრისით მიღწეული არ არის. კომისარი უერთდება ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მოწოდებას, რომ ხანგრძლივ პოლიტიკურ მოგვარებაზე შეთანხმების არ არსებობის პირობებში, დაზარალებული მოსახლეობის უმწვავესი პრობლემების გადასაჭრელად მაინც გადაიდგას სასწრაფო პრაგმატული ნაბიჯები.²⁹
61. დღემდე ჩატარებულია უენევის სამშვიდობო მოლაპარაკებების 11 რაუნდი. 2009 წლის მაისში, უსაფრთხოების საკითხებით დაკავებული სამუშაო ჯგუფის პარალელურად ჩამოყალიბდა მეორე სამუშაო ჯგუფი, რომელიც პუმანიტარულ საკითხებს განიხილავს; ეს დადებითი მოვლენაა. კომისარი დარწმუნებულია, რომ აუცილებელია ყველა მხარის მიერ არსებული მექანიზმების (უენევის სამშვიდობო მოლაპარაკებები და IPRM) სრული მხარდაჭერა რეგიონში

²⁹ ანგარიში საქართველოში კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების დაცვის მდგრადერთობის შესახებ □ მესამე ანგარიში (2009 წლის ივლისი-სექტემბერი), SG/Inf(2009)15 საბოლოო გენერალური მდივნის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი, 2009 წლის 4 ნოემბერი.

სტაბილურობის შესანარჩუნებლად და კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებების დასაცავად.

62. როგორც უკვე აღინიშნა კონფლიქტით დაზარალებულ რაიონებში შედწევა, მათ შორის ჰუმანიტარული მიზნებით, გაძნელებულია; ეს წინააღმდეგობები ნაწილობრივ გამომდინარეობს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონიდან. 2009 წელს ევროპულმა კომისიამ სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად (ვენეციის კომისიამ) მომზადა პირველი დასკვნა ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონის თაობაზე და შემდგომ ორი მოსაზრება (შუალედური და საბოლოო დასკვნა) ვენეციის კომისიის პირველი დასკვნის საფუძველზე საქართველოს პარლამენტის მიერ მომზადებულ დამატებებსა და ცვლილებებზე. 2010 წლის თბერვალში საქართველოს პარლამენტმა მიიღო საბოლოო ცვლილებები. კომისარი მიესალმება იმ ფაქტს, რომ ეს ცვლილებები ითვალისწინებს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონზე ვენეციის კომისიის მიერ გამოთქმულ შენიშვნებს. იგი იმედს გამოსთხვამს, რომ კანონის აღქმა და შესრულება საერთაშორისო ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებების დაცვის ნორმების შესაბამისად მოხდება და რომ ჰუმანიტარულ და სამშვიდობო ძალისხმევას წინააღმდეგობები არ შეექმნება.
63. გასაგები მიზეზების გამო კონფლიქტის დასრულებისთანავე ძირითადი ძალისხმევა მიმართული იყო ადგილნაცვალი და დაბრუნებული ადამიანების უპირველესი მატერიალური მოთხოვნების დაკმაყოფილებისკენ. ორი მთავარი საერთაშორისო სუბიექტის, ეუთოს (OSCE) და გაეროს სადამკვირვებლო მისიის (UNOMIG) გასვლის შემდეგ აუცილებელია გადამჭრელი ზომების მიღება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული საკითხების სწორი მონიტორინგისათვის. ბევრი სუბიექტის აზრით, ამჟამად კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში ადამიანის უფლებების დაცვის მონიტორინგი არასაკმარისია მიუხედავად იმისა, რომ ევროპის საბჭო და სხვა ორგანიზაციები ცდილობენ ამ სიცარიელის მაქსიმალურ შევსებას.
64. და ბოლოს, კომისარი მოუწოდებს ყველა მხარეს, ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებების დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციის ყოფნას კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში და მხარი დაუჭირონ ევროპის საბჭოს და სხვა ორგანიზაციების ძალისხმევას, მიმართულ იქაური მოსახლეობის ადამიანის უფლებების დაცვისაკენ.